ანგარიში

(ეუთოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი, 3-5 ოქტომბერი, ანდორა ლა ველა, ანდორა)

საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, **სოფიო ქაცარავას** ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღო ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიურ ღონისძიებაში - შემოდგომის კონფერენციაში

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი გიგი წერეთელი, დელეგაციის მდივანი მერი გოგოლაძე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსი ნატალია ჯალიაშვილი და საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ანი გაბრიჭიძე.

ღონისძიებაზე განსახილველ ძირითად თემებს წარმოადგენდა უსაფრთხოების სფეროს სამი განზომილება - პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული. სოფიო ქაცარავა, როგორც ეკონომიკური კომიტეტის მომხსენებელი, იღებდა მონაწილეობას სადისკუსიო პანელში, რომელშიც მონაწილეობდნენ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები. სხდომაზე გამოითქვა მოსაზრებები კიბერ უსაფრთხოების, კლიმატის ცვლილებების და განათლების უფლების თემებზე.

საქართველოს დელეგაციამ, შემოდგომის კონფერენციის პარალელურად, ასამბლეის მონაწილეების ჩართულობით გამართა ღონისძიება - ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე და უსაფრთხოების საკითხები. ღონისძიება ჩატარდა სოფიო ქაცარავას ინიციატივით, რომელმაც გახსნისას მიმართა მის მონაწილეებს და ისაუბრა საქართველოში ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე უფლებების დარღვევის ფაქტებზე, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში გატარებულ რეფორმებზე, პროგრესზე და იმ პროცესებზე, რაც

ქვეყანაში დემოკრატიის კონსოლიდაციას უწყობს ხელს. სიტყვით გამოვიდა ასამბლეის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე იგნასიო სანჩეს ამორი, მან ხაზგასმით აღნიშნა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. აუდიტორიას აგრეთვე მიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსმა ნატალია ჯალიაშვილმა, რომელმაც დაწვრილებით ისაუბრა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ ადამიანის უფლებათა სტრატეგიასა და ადამიანის უფლებათა საკითხებში სამოქმედო გეგმის დინამიკაზე. განსახილველმა თემამ დიდი ინტერესი და ჩართულობა გამოიწვია დამსწრე აუდიტორიაში. უკრაინის, სლოვაკეთის, შვედეთის, ჩეხეთის და გერმანიის დელეგაციების წარმომადგენლებმა გამოთქვეს მოსაზრებები და დაინტერესდნენ თუ რა მიმართულებით იქნება ასამბლეის როლი მნიშვნელოვანი ამ საკითხების გასაუმჯობესებლად.

სოფიო ქაცარავამ მიიღო მონაწილეობა ანტი-ტერორისტული კომიტეტისა და „აბრეშუმის გზის ჯგუფის“ მუშაობაში. მან, როგორც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ხაზი გაუსვა საქართველოს წვლილს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და გლობალური უსაფრთხოების გამყარებაში.

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, სოფიო ქაცარავამ, გამართა ორმხრივი შეხვედრები გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელთან დორის ბარნეტთან და დელეგაციის წევრებთან. საუბარი შეეხებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხებს. გამოითქვა მოსაზრება რომ დაარსდეს ფორმატი: "შავი ზღვის უსაფრთხოება“ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში, რომელიც კონკრეტულად უსაფრთხოების მიმართულებით იმუშავებს.

ჩეხეთის დელეგაციის ხელმძღვანელთან სოფიო ქაცარავამ საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხებზე, ვიზა ლიბერალიზაციისთვის გატარებულ რეფორმებსა და საქართველოსა და ჩეხეთს შორის სოფლის მეურნეობისა და ინვესტიციების მიმართულებით თანამშრომლობის შესახებ ისაუბრა.

ბელგიის დელეგაციების წარმომადგენლებთან ევროინტეგრაციის, ევროკავშირის ღია კარის პოლიტიკისა და ბრუსელში სოფიო ქაცარავას დაგეგმილი ვიზიტი განიხილებოდა. ასევე საუბარი შეეხო ეკონომიკური თანამშრომლობის ასპექტებს, ორმხრივი ურთიერთობების გააქტიურებას, ახალი მოდალობების შექმნა-ჩამოყალიბებას ამ მიმართულებით და საქართველოს მხარდაჭერას ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

მერი გოგოლაძე

მ. გოგოლაძე

დელეგაციის მდივანი

12 ოქტომბერი, 2017 წ.